ოქმი:**ო03. 3724177001**

თარიღი:**25/06/2024**

ოქმი № 10

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2024 წელი, 25 ივნისი

ქ.ოზურგეთი

13:00 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: გ. მდინარაძე, ბ. თოიძე, ნ. ქარჩავა, ქ. ხომერიკი, ტ. აროშიძე, ლ. ბიგვავა, ს. ქარცივაძე, დ. მჟავანაძე, მ. ვაშალომიძე.

ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი - ხათუნა სურგულაძე

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (ორგ.კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 ივლისის N25 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: ხ. სურგულაძე

სხდომის თავმჯდომარემ, გ.ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს გააცნო სამართლებრივი აქტის პროექტი, დაწვრილებით საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა მომხსენებელმა, ხ.სურგულაძემ. აღნიშნა, რომ პროგრამის მიზნებს წარმოადგენს:

ა) სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული/თვითდასაქმებული პირების მხარდაჭერა.

ბ) იმ პირების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება, რომელთა მიმდინარე/ სამომავლო საქმიანობა მიმართულია ადგილობრივი წარმოების ზრდის, აგროტურისტული პოტენციალის განვითარების, საოჯახო მეურნეობის გაფართოებისა და პოპულარიზაციისაკენ.

გ) ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გაძლიერების ხელშეწყობა, მათ შორის ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა.

დ) დასაქმების ხელშეწყობა.

კომისიის წევრებმა საკითხი განიხილეს, იმსჯელეს და

გადაწყვიტეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი: ,, .ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (ორგ.კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 ივლისის N25 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში, საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაწყების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი